

ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის
შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიის 2014 წლის
სამოქმედო გეგმის განხორციელების
ანგარიში

თბილისი
თებერვალი, 2015

სარჩევი

შესავალი -----	3
1. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებისა და მისი განხორციელების თაობაზე საზოგადოების ინფორმირება -----	4
2. საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებისა (DCFTA) და მისი განხორციელების თაობაზე საზოგადოების ინფორმირება -----	10
3. საქართველოში ევროინტეგრაციის პროცესის პოპულარიზაცია -----	17
4. ევროინტეგრაციის საკითხებზე საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება -----	27
5. ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში საქართველოს ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზაცია -----	32

შესავალი

2013 წლის 6 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგია 2014-2017 წლებისთვის“. სტრატეგია შემუშავდა სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით. სტრატეგიის შესრულების კოორდინაციას ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი ახორციელებს. საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, რომელმაც ამგვარი სახის დოკუმენტი შეიმუშავა.

სტრატეგია სამ ძირითად ასპექტს ეფუძნება: განათლება, ინფორმირება, მხარდაჭერა/საჯარო ადვოკატირება. კომუნიკაციის სტრატეგიის მიზანია საქართველოს მოსახლეობის ინფორმირება ევროკავშირის, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებისა და ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების, ქვეყნის მიერ განსახორციელებელი რეფორმების შესახებ. ამ საკითხებზე საჯარო მოხელეთა ცოდნის ამაღლება, ასევე, ევროკავშირში საქართველოს შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა და ქვეყნის იმიჯის მხარდაჭერა.

გარდა ამისა, სტრატეგიის ამოცანაა მოსახლეობაში არარეალისტური მოლოდინების შექმნისა და საზოგადოებაში ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ არასწორი დამოკიდებულებისა და სტერეოტიპების თავიდან აცილება. ასევე, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ ობიექტური და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება.

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის გადაწყვეტილებით შეიქმნა აღნიშნული სტრატეგიის განხორციელების უზრუნველყოფის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მიერ სამოქალაქო საზოგადოების, ბიზნეს წრეებისა და საქართველოს პარლამენტის მონაწილეობით შემუშავდა სტრატეგიის განხორციელების 2014 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც 2013 წლის 24 დეკემბერს გამართულ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის სხდომაზე დამტკიცდა.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს აღნიშნული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. ანგარიში შემუშავებულია სამოქმედო გეგმის განხორციელებაში მონაწილე უწყებებისა და სხვა ჩართული ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

1. საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებისა და მისი განხორციელების თაობაზე საზოგადოების ინფორმირება

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ეფექტიანად ახორციელებს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგით, აგრეთვე სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ რეფორმებს. სამინისტროს მიერ საკანონმდებლო ცვლილებების ანალიზი და შემუშავება ხდება ამ ვალდებულებებთან შესაბამისობაში. განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების, ინიციატივებისა და პროექტების შესახებ ინფორმაცია მუდმივ რეჟიმში მიეწოდებათ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მისიებს, საელჩოებსა და ევროკავშირის დელეგაციებს შესაბამისი შეხვედრების დროს. ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული აქტივობების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად ქვეყნდება სამინისტროს ვებგვერდზე და ვრცელდება მედიის საშუალებით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ევროკავშირთან ინტეგრაციის ფარგლებში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის სწორი ფორმით გაშუქების საკითხს. ამ მიზნით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ჩართულია Deutsche Welle Akademie-ს პროექტში, რომლის მიზანია ევროკავშირისა და საქართველოს პარტნიორობის სამართლებრივი საფუძვლების, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების, საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სამართალთან ადაპტაციის პროცესის გაშუქებისთვის ჟურნალისტების მომზადება და მათი პროფესიული ცოდნის გაღრმავება და უნარ-ჩვევების განვითარება. 2014 წელს დაიწყო და გრძელდება სემინარები ჟურნალისტებისათვის, რომლებიც იმართება Deutsche Welle Akademie-ს ახალი პროექტის ფარგლებში და ფინანსდება გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. სემინარებს უძღვებიან გერმანელი და ქართველი ექსპერტები. პროექტის მონაწილეა 60 მედია-საშუალების ჟურნალისტი, რომელიც უშუალოდ სამართლებრივ საკითხებზე მუშაობს ან/და პარლამენტის საქმიანობას აშუქებს (ტელევიზია, რადიო, ბეჭდური და სოციალური მედია).

აღნიშნული პროექტის მიზანია, სემინარის ფარგლებში მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები ქართველ ჟურნალისტებს დაეხმაროს კომპლექსური სამართლებრივი თემების გაშუქებაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უშუალოდ ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებულ თემებს - კანონის უზენაესობა, სამართლებრივი დამოუკიდებლობის გარანტია, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და მხარდაჭერა, ანტიდისკრიმინაცია და გადაადგილების თავისუფლება.

2014 წლის მარტიდან - აგვისტოს ჩათვლით ადამიანით ვაჭრობის, უკანონო მიგრაციის საფრთხეებისა და თავის დაცვის საშუალებების შესახებ საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა წალენჯიხაში, თელავში, ყვარელში, გურჯაანში, ქუთაისში, რუსთავში, ბათუმში, ზუგდიდში, გორში, მარნეულში, ოზურგეთში, ტყიბულში, ფოთში, სენაკში, ქობულეთში, ბორჯომში, ახალციხეში, ფოკაში, სართიჭალაში, წყალტუბოში, მესტიაში, ბეჩოში, მარტვილში, ოზურგეთში, ჩოხატაურსა და ლანჩხუთში, რომელსაც ესწრებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები (800 მონაწილე). შეხვედრები შედგა საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და ა/ო „მიგრაციის ცენტრის“ მჭიდრო თანამშრომლობით.

2014 წლის ნოემბერში იმედის, რუსთავი 2-ის, საზოგადოებრივი მაუწყებლისა და აჭარის ტელევიზიების ეთერში გავიდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საკოორდინაციო საბჭოს წევრებთან კონსულტაციის შედეგად შექმნილი ვიდეო რგოლი, რომელიც ეხება ტრეფიკინგის პრევენციისა და მსხვერპლთა დაცვის საკითხებს.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „საქართველოს მთავრობის პოტენციალის გაძლიერება საზღვრისა და მიგრაციის მართვაში“ ფარგლებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ 2014 წლის განმავლობაში, ჩაატარა 43 საინფორმაციო შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობებისა და არალეგალური მიგრაციით გამოწვეული რისკების შესახებ.

მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრებზე მიგრაციით დაინტერესებული მოქალაქეები იღებდნენ სანდო და უახლეს ინფორმაციას შემდეგ საკითხებზე:

- ლეგალური დასაქმების შესაძლებლობები საზღვარგარეთ;
- დასაქმების შეთავაზების სანდოობა;
- სავიზო პროცედურები და უცხო ქვეყანაში ცხოვრების წესები;
- სწავლა საზღვარგარეთ და გაცვლითი პროგრამები;
- მუდმივი ბინადრობა და თავშესაფარი;
- მიგრანტების უფლებები და მოვალეობები
- არალეგალურ მიგრაციასთან დაკავშირებული რისკები და მათი პრევენცია.

2014 წლის 10 თებერვლიდან 2014 წლის 11 დეკემბრამდე ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა 43 საინფორმაციო შეხვედრა (1410 მონაწილე):

- სამეგრელო (ფოთი, სენაკი, ზუგდიდი, წალენჯიხა, მარტვილი, ჩხოროწყუ);
- აჭარა (ბათუმი, გონიო, ქობულეთი, ხელვაჩაური);
- ქვემო ქართლი (მარნეული, გარდაბანი, რუსთავი, მანგლისი, წალკა);
- კახეთი (ყვარელი, თელავი, გურჯაანი);
- სამცხე-ჯავახეთი (ბორჯომი, ახალციხე, ახალქალაქი, ნინოწმინდა);
- შიდა ქართლი (გორი, გომი, რუისი);
- იმერეთი (ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, წყალტუბო, ტყიბული);
- ზემო სვანეთი (ბეცო, მესტია);
- რაჭა-ლეჩხუმი (ცაგერი, ონი, ამბროლაური);
- გურია (ოზურგეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი);
- წეროვანის დასახლება;
- თბილისი.

შეხვედრებში მონაწილეობდნენ პოტენციური მიგრანტები, ადგილობრივი თვითმმართველობის, საგანმანათლებლო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ინფორმაციის მიწოდებას დევნილი მოსახლეობისათვის, რისთვისაც შეხვედრები გაიმართა მათი კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში.

შეხვედრის მონაწილეებსა და სასწავლო დაწესებულებების წარმომადგენლებს გადაეცათ საინფორმაციო მასალა უსაფრთხო მიგრაციის შესახებ მოსახლეობაში გასავრცელებლად.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზირებულ იქნა შემდეგი ღონისძიებები: ევროპის დღე, გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე, ოზონის შრის დაცვის საერთაშორისო დღე.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარდა კატასტროფების რისკის შემცირების მოაზროვნეთა გუნდის (Disaster Risk Reduction Think Tank) რეგულარული შეხვედრები. შეხვედრების მთავარი მიზანს წარმოადგენდა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, სასწავლო დაწესებულებების, აკადემიური წრეების ინფორმირება კატასტროფების რისკის შემცირების მიმართულებით ევროპასთან დაახლოების, ევროდირექტივებთან ჰარმონიზაციისა და ევროინტეგრაციის გაღრმავებისკენ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარდა მეტეოროლოგიის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიების აღნიშვნამ ხელი შეუწყო მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებას თანამედროვე მეტეოროლოგიური მომსახურების მნიშვნელობის შესახებ და მათ ინფორმირებას ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ საქართველოში მეტეოროლოგიური საქმიანობის სფეროს მოდერნიზაციისა და ევროსტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ გააცნო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს გარემოს დაბინძურების მონიტორინგთან დაკავშირებული საქმიანობა. ღონისძიების მიზანი იყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება წყლის მონიტორინგის სფეროში ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის მიდგომების დანერგვისა და ჰაერის ავტომატური სადგურის გაცნობის კუთხით.

ევროკავშირის დამმობილების პროექტის „საქართველოს დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გაძლიერება“ ფარგლებში ჩატარდა ევროკავშირის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან დაკავშირებული ორი სამუშაო შეხვედრა და კონფერენცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია ევროკავშირის გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

გაეროს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის (UNWTO), სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, საქართველოს ტურიზმის ასოციაციისა და სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მონაწილეობით პროექტის „დაცული ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში ჩატარდა დასკვნითი კონფერენცია. პროექტმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი დაცული ტერიტორიების სისტემის შესაძლებლობების გაძლიერებას.

ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ შეიქმნა პროექტი: „შესაღებლობების გაძლიერება - დიდი ავარიების პრევენციის პოლიტიკა“. ჩეხეთის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით დაგეგმილია „შესაძლებლობების გაძლიერება - დიდი ავარიების პრევენციის პოლიტიკა“ პროექტის განხორციელება, რომელიც ხელს შეუწყობს სამრეწველო ავარიების

თავიდან აცილებისათვის საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. პროექტი ითვალისწინებს სამინისტროსა და სსიპ-ის თანამშრომელთა დიდი ავარიების პრევენციის მიმართულებით გადამზადებას.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ნარჩენების მართვის Twinning-ის პროექტის ფარგლებში შემუშავებულ იქნა საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი“, რომელიც ძალაში შევიდა 2015 წლის 15 იანვარს. კანონი შესაბამისობაშია ნარჩენების მართვის შესახებ ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან.

ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის შექმნისა და დანერგვის მიზნით, მიმდინარეობს ნარჩენების მართვის გრძელვადიანი (15 წლიანი) ეროვნული სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ნარჩენების მართვის ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები, მათ შორის ქვეყანაში გასატარებელი ნარჩენების პრევენციის, ხელახალი გამოყენების, რეციკლირების (გადამუშავება), აღდგენისა და განთავსების ღონისძიებები.

ასევე, მზადდება ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმა (5 წლიანი), სადაც გათვალისწინებული იქნება უახლოეს 5 წელიწადში განსახორციელებელი ღონისძიებები, განხორციელების ვადები, დაფინანსების წყაროები და სხვა.

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) დაფინანსებით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ მოამზადა კანონპროექტი სახეობებისა და ჰაბიტატების შესახებ. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან. აღნიშნული კანონპროექტი მნიშვნელოვანია ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით, ვინაიდან იგი ფარავს ყველა საკანონმდებლო საკითხს ბიომრავალფეროვნების დაცვის კუთხით, რაც გათვალისწინებულია საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებით.

ევროკავშირის პროექტის - „ჰაერის ხარისხის მართვა ევროპული მეზობლობისა და პარტნიორობის ინსტრუმენტის აღმოსავლეთ რეგიონის ქვეყნებში“ - ფარგლებში, განხორციელდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სფეროში არსებული ნაკლოვანებების ანალიზი და შემუშავდა „საქართველოში ევროსტანდარტების შესაბამისი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემის განვითარების პროგრამა“, რომლის საფუძველზეც 2015 წლიდან დაიწყება ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის ეტაპობრივი რეაბილიტაცია, თანდათანობითი ავტომატიზაცია და მოდერნიზაცია ევროსტანდარტების შესაბამისად.

ევროკავშირის პროექტის „ჰაერის ხარისხის მართვა ევროპული მეზობლობისა და პარტნიორობის ინსტრუმენტის აღმოსავლეთ რეგიონის ქვეყნებში“ ფარგლებში ასევე შემუშავდა „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის სფეროში საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების ეროვნული სამოქმედო გეგმა“, რომლის საფუძველზეც მოხდება ქვეყნის მიერ ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა შესრულება.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის ეფექტიანად გაცვლის მიზნით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ჩამოყალიბდა ევროინტეგრაციის

ოფიციალური სამუშაო ჯგუფი, სამინისტროს ყველა დარგობრივი სამსახურის წარმომადგენლების შემადგენლობით. ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მხრივ არსებული მდგომარეობის შესასწავლად, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მოწვეულმა უცხოელმა და ადგილობრივმა ექსპერტებმა მოამზადეს ეროვნული საკანონმდებლო ბაზის ანალიზი ევროდირექტივებთან ჰარმონიზაციის კონტექსტში და გააცნეს სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა რეგიონული მედიისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის წარმომადგენლებთან, რომელზეც მონაწილეებს მიეწოდათ ზოგადი ხასიათის ინფორმაცია ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებით.

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა უზრუნველყო ასოცირების შეთანხმებისა და DCFTA-ის შესახებ ბროშურებისა და ბუკლეტების მომზადება და თარგმნა. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი საინფორმაციო ცენტრს დაეხმარა აფხაზური და ოსური ენის მთარგმნელებთან დაკავშირებაში, ასევე აფხაზურად, სომხურად და აზერბაიჯანულად ნათარგმნი ტექსტის გადამოწმებაში. ბროშურები დაურიგდა სხვადასხვა რეგიონის ჟურნალისტებსა და 1+4 პროგრამის სტუდენტებს. ასევე გადაეცა ეუთოს უმაღლესი კომისრის წარმომადგენელს.

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მხარდაჭერით გამოიცა რამდენიმე ბროშურა და ბუკლეტი, კერძოდ:

- 10 მითი საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესახებ (სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე);
- საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გზამკვლევი (სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე);
- ესტონეთის საელჩოს მხარდაჭერით, არასამთავრობო ორგანიზაციამ „ხმა საქართველოდან“ დაიწყო პროექტის „ჩვენი ევროპული არჩევანის“ განხორციელება. ორგვერდიანი ჩანართი ყოველთვიურად ვრცელდებოდა რეგიონული მედიის საშუალებით (მათ შორის, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე)

ევროპის კვირეულის ფარგლებში საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის სახლში ბრაელის შრიფტით დაბეჭდილი ბროშურის „10 მითი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესახებ“ პრეზენტაცია გაიმართა. აღნიშნული ბროშურა დაიბეჭდა ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით. ბროშურის პრეზენტაციასთან ერთად გაიმართა დისკუსია საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობის საკითხებზე.

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით, ადგილობრივ ფერმერებთან გაიმართა შეხვედრა თელავის მუნიციპალიტეტში. შეხვედრის მთავარი მიზანი საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის აქტუალური საკითხებისა და ევროკავშირის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების საგრანტო პროგრამის (ENPARD) შესახებ ინფორმაციის მიწოდება იყო.

2014 წლის 21 აგვისტოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გაიმართა გაერთიანებული შეხვედრა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და მის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელების მონაწილეობით, სადაც განხილულ იქნა ევროინტეგრაციის პროცესით სამინისტროს მიერ ნაკისრი ვალდებულებები და შესრულების მდგომარეობის სტატუსი.

2. საქართველო-ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებისა (DCFTA) და მისი განხორციელების თაობაზე საზოგადოების ინფორმირება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტთან (DCFTA) დაკავშირებულ საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კუთხით, თბილისსა და რეგიონებში 2014 წლის განმავლობაში განხორციელდა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია, რომლის ფარგლებშიც გაიმართა შეხვედრები სამოქალაქო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, ასევე აკადემიური წრეებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან (თბილისი, ქუთაისი, თელავი, ბათუმი). განხილულ იქნა შეთანხმების რეგულირების სფეროები, ამ სფეროებში საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებები და თითოეული მიმართულებით მოსალოდნელი სარგებელი.

2014 წლის 26 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გამართა თემატური შეხვედრა, რომელიც დაეთმო DCFTA-ს ფარგლებში სურსათის უვნებლობის კუთხით საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებებისა და დაგეგმილი რეფორმების მიმოხილვას. შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ კერძო სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე ინტეგრირებულია სპეციალური ვებ-პორტალი, სადაც განთავსებულია შეთანხმებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია. დაინტერესებულ პირებს ვებ-პორტალის მეშვეობით შეუძლიათ მიიღონ ძირითადი ინფორმაცია შეთანხმების არსის შესახებ, გაეცნონ შეთანხმების ტექსტს ქართულ და ინგლისურ ენებზე, DCFTA-ს თითოეული თავის მოკლე მიმოხილვას, განხორციელებულ, მიმდინარე და განსახორციელებელ რეფორმებს. ამავე პორტალის მეშვეობით მათ ასევე ხელი მიუწვდებათ DCFTA-ს 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმაზე, სადაც დეტალურადაა გაწერილი შეთანხმების განხორციელების მიზნით მომავალი სამი წლის მანძილზე დაგეგმილი ღონისძიებები.

2014 წლის მე-3 კვარტალში, თბილისი ბანკში გაიმართა შეხვედრა მეწარმეებთან. შეხვედრაზე სხვა საკითხებთან ერთად მეწარმეებს მიეწოდათ ინფორმაცია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმებაში გათვალისწინებული ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების ფარგლებში და ასევე, ხარისხის ეროვნულ ინფრასტრუქტურაში მიმდინარე და განსახორციელებელი რეფორმებით გათვალისწინებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით.

2014 წლის მე-2 და მე-4 კვარტალში გაიმართა შეხვედრები მეწარმეებთან, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამეცნიერო ჯგუფების წარმომადგენლებთან, რომელთა საფუძველზეც შეიქმნა სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტები: ტკ-4 ტურიზმის სფეროში და ტკ-5 მშენებლობისა და მომატებული საფრთხის შემცველი ობიექტების სფეროში. შეხვედრებზე მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია სტანდარტების სფეროში განხორციელებული და განსახორციელებელი სიახლეების შესახებ,

რომელიც დაკავშირებულია ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცეს შესახებ შეთანხმებასთან.

2014 წლის 27-28 მარტს, თბილისში, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია და ბიზნეს ფორუმი - "ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირთან - პერსპექტივები და შესაძლებლობები". ღონისძიების მიზანი იყო ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მთავრობებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებისათვის საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის, საინვესტიციო შესაძლებლობებისა და ბიზნეს გარემოს შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება. ასევე, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებისა და ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის კუთხით განხორციელებული წარმატებული რეფორმების გამოცდილების გაზიარება პარტნიორ სახელმწიფოებთან. კონფერენციის ფარგლებში 28 მარტს გაიმართა ბიზნეს ფორუმი, რომელზეც ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრი ქვეყნების ბიზნეს წრეების წარმომადგენლებს მიეცათ შესაძლებლობა დაემყარებინათ საქმიანი კონტაქტები და გაეაქტიურებინათ ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა.

2014 წლის ივნისში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტის პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ ბათუმის საზღვაო აკადემიაში ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე: „საზღვაო დარგი საქართველოში. არსებული ვითარება და პერსპექტივები“. საჯარო ლექცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის" ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართა.

ლექციაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები: ევროკავშირთან ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხები საზღვაო ტრანსპორტთან დაკავშირებით; ევროკავშირის მიერ ქართველ მეზღვაურთა კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატების აღიარების შედეგად ევროპულ გემებზე ქართველ მეზღვაურთა დასაქმების პერსპექტივები; ქართული დროშის იმიჯის ამაღლების კუთხით მიმდინარე ღონისძიებები; საქართველოს სანავსადგურე სექტორში არსებული ვითარება და ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის მნიშვნელობა; საქართველოს სატრანზიტო პოტენციალი და ქვეყნის ლოგისტიკურ ჰაბად გარდაქმნის პერსპექტივები.

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების თაობაზე საჯარო ლექცია ასევე ჩატარდა სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში, საზღვაო სასწავლო ცენტრ "ანრი"-ში და ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში. ლექცია სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ იყო ორგანიზებული და მის ფარგლებში ძირითადად ევროკავშირის სამართალთან საქართველოს საზღვაო კანონმდებლობის კარმონიზაციის საკითხები განიხილეს.

2014 წლის 25 სექტემბერს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ორგანიზებით ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ბიბლიოთეკაში ჩატარდა ღია ლექცია მეზღვაურთათვის თემაზე საქართველოსა და ევროკავშირის

შორის ასოცირებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების თაობაზე, კერძოდ მის მნიშვნელობასა და შედეგებზე საზღვაო ტრანსპორტთან მიმართებაში. ასევე, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გატარებულ რეფორმებზე, საზღვაო უსაფრთხოების დეპარტამენტის ფუნქციებსა და ვალდებულებებზე ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებამდე და მის შემდეგ.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტის პოლიტიკის დეპარტამენტის და სსიპ „სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს“ წარმომადგენლების მიერ 2014 წლის 2 ივნისს ჩატარდა საჯარო ლექცია საავტომობილო ტრანსპორტის სპეციალობის სტუდენტებისთვის.

საჯარო ლექციის ფარგლებში სამინისტროსა და სააგენტოს წარმომადგენლებმა მიაწოდეს ინფორმაცია საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებსა და თითოეული დირექტივის დებულებების შესრულების ვადებზე.

2014 წლის 16 და 31 ოქტომბერს, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს წარმომადგენლებმა ჩაატარეს ღია საჯარო ლექციები საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის კუთხით ცნობადობის ამაღლების მიზნით.

საჯარო ლექციების ფარგლებში, მსმენელებს შესაძლებლობა მიეცათ სააგენტოს წარმომადგენლებისაგან მიეღოთ ინფორმაცია „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ საქართველოსა და ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის“ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების, ევროკავშირის დირექტივებისა და რეგულაციების ეროვნულ მარეგულირებელ ჩარჩოში დანერგვასთან, აგრეთვე „ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაციაში“ (EUROCONTROL) საქართველოს ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.

2014 წლის 5 მარტს სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“-ს ორგანიზებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებისათვის ჩაატარდა სემინარი საქართველოში ხარისხის ინფრასტრუქტურის ევროპულთან დაახლოების შესახებ. სემინარის ძირითადი თემები იყო:

- აღმოსავლეთ პარტნიორობის საგზაო რუკით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
- ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება;

2014 წლის 9 ივნისს, აკრედიტაციის ცენტრმა ჩაატარა კონფერენცია თემაზე: „აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება საქართველოში. ეროვნული და საერთაშორისო ორიენტირები“. კონფერენციას ესწრებოდა 70-მდე მონაწილე, მათ შორის იყვნენ ევროკავშირის, ზიზნესის, საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, შესაბამისობის შემფასებელი პირები.

2014 წლის 10 სექტემბერს აკრედიტაციის ცენტრმა მიაწოდა ინფორმაცია საქართველოს დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტს აკრედიტაციის ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ, მათ შორის ევროპის აკრედიტაციის თანამშრომლობის ორგანიზაციასთან დაახლოების თვალსაზრისით.

უზრუნველყოფილია აკრედიტაციის ევროპული ორგანიზაციის (EA) ასოცირებული წევრობის შენარჩუნება და მისი სტრუქტურების მუშაობაში მონაწილეობა. კერძოდ, EA-ს ასოცირებული წევრობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ცენტრმა (ევროკავშირის CIB პროექტის ნაწილობრივი მხარდაჭერით) მონაწილეობა მიიღო EA-ს მიერ ჩატარებულ ყველა ტექნიკური კომიტეტის მუშაობაში, მათ შორის:

- სერტიფიკაციის კომიტეტი (მარტი და სექტემბერი);
- ინსპექტირების კომიტეტი (მარტი და ოქტომბერი);
- MAC (ოქტომბერი);
- გენერალური ასამბლეა (მაისი და ნოემბერი)

2014 წლის 20 მაისს, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ყოვლისმომცველი ინსტიტუციური გაძლიერების პროექტის - „საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერა“ (ENPI/2012/301-051) ფარგლებში გაიმართა სემინარი, რომლის მიზანს წარმოადგენდა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების გაფორმებისთვის მოსამზადებელ პროცესში მიღწეული პროგრესის პრეზენტაცია; ყოვლისმომცველი ინსტიტუციური განვითარების პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგების მიმოხილვა ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის კუთხით: კერძოდ, საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის სააგენტოს სამი ლაბორატორიის (ტემპერატურა, ელექტრობა და მასის გაზომვები) საერთაშორისო აღიარების მიღწევა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზებით 2014 წლის 13 აგვისტოს გაიმართა შეხვედრა „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისათვის“ ფარგლებში. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებზე.

ამასთან, მიმდინარეობს ევროკავშირის კანონმდებლობის ქართულად თარგმნა, ელექტრონულ ვებგვერდზე პაკეტების მიხედვით განთავსების მიზნით.

ჩატარდა შეხვედრები საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან არსებული „სამოქალაქო დარბაზის“ ფორმატში, სადაც გაერთიანებულნი არიან არასამთავრობო სექტორის, ბიზნესწრეების, მეცნიერების გაერთიანებები და ექსპერტები.

გაიმართა „სამოქალაქო დარბაზის“ რიგით მეორე სხდომა, რომლის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციებს მიეწოდათ ინფორმაცია:

- ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების კუთხით სააგენტოს აქტივობებზე;
- ევროკავშირის ბაზარზე ქართული პროდუქციის განთავსებისთვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების თაობაზე;
- ევროკავშირში თავლის რეგულირებისა და იმპორტის მოთხოვნებზე;

სხდომაზე ასევე იმსჯელეს „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში“ შესული ცვლილებების თაობაზე.

2014 წლის 30 მაისს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ „მრგვალი მაგიდის“ ფორმატში ბათუმსა და ქუთაისში, გამართა შეხვედრები მეფუტკრეებთან და თაფლის მწარმოებლებთან. მეწარმეებს გააცნეს ევროკავშირის მოთხოვნები და საერთაშორისო სტანდარტები.

2014 წლის 30 ივნისს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, მეფუტკრეებთან და თაფლის მწარმოებლებთან მორიგი შეხვედრა გაიმართა თელავში.

შეხვედრის მიზანი იყო მოქმედი საკანონმდებლო სიახლეების გაცნობა, მეფუტკრეობის პროდუქციის ექსპორტის ზრდის, მეფუტკრეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის აღდგენა და ფუნქციონირების ხელშეწყობა. მეფუტკრეები და ევროკავშირის ბაზარზე ქართული თაფლის ექსპორტით დაინტერესებული პირები საქართველოში არსებულ კანონმდებლობას გაეცნენ, მოისმინეს ევროკავშირში სურსათის უვნებლობის, ასევე ხარისხობრივი მოთხოვნები და საერთაშორისო სტანდარტები, მიმოიხილეს თაფლის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტისთვის აუცილებელი პირობები.

2014 წლის 22 ივლისს, ბათუმში, სურსათის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით გაიმართა შეხვედრა სატბორე-სათევზე მეურნეობების წარმომადგენლებთან.

მეწარმეებს სააგენტოს დეპარტამენტების უფროსებმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის, კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელებმა "მრგვალი მაგიდის" ფორმატში გააცნეს ეროვნული კანონმდებლობა, საერთაშორისო მოთხოვნები და ევროკავშირში ექსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ დამზადდა ბროშურა საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების (HACCP) სისტემის შესახებ. ბროშურა აღწერს მიდგომას სურსათის უვნებლობის საკითხებთან, საკვები პროდუქტების წარმოების კარგი პრაქტიკის პრაქტიკას და გამიზნულია დაინტერესებული მხარეების დიდ ჯგუფებზე (განსაკუთრებით მცირე ბიზნეს ოპერატორები, რადგან ისინი უფრო დაუცველნი არიან ახალი წესების მიმართ და არ გააჩნიათ შესაძლებლობა გაეცნონ პრაქტიკულ საკითხებს და გაუმკლავდნენ ახალ გამოწვევებს).

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ:

- 2014 წლის სექტემბერში დამზადდა საინფორმაციო ფლაერები საქართველოსა და ევროკავშირის შორის ვაჭრობის საკითხებზე, რომლებიც განმარტავს ქართული ბიზნესის ძირითად პრინციპებს. აღნიშნული უნდა გაითვალისწინონ ექსპორტზე ორიენტირებულმა საწარმოებმა;
- ცოფის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დამზადდა საინფორმაციო ფლაერი „ფრთხილად ცოფი“ (CIB პროექტის დახმარებით), რომელიც დარიგდა ყველა მუნიციპალიტეტში;
- ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენაზე დამზადდა ფლაერები და პოსტერები „რა უნდა ვიცოდეთ ჯილეხის შესახებ“, ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრის თბილისის ოფისის დახმარებით (CDC) და დარიგდა ყველა მუნიციპალიტეტში;
- დამზადდა ფლაერები „ბრუცელოზის დაავადების არსზე და პრევენციის ზომებზე“ (FAO), რომელიც დარიგდა კახეთის რეგიონში;

- დამატებით განხორციელდა - 500 ბროშურის დაბეჭდვა, რომლებიც წარმოადგენს სახელმძღვანელოს მცენარეთა დაცვის საშუალებების ეფექტიან და უსაფრთხო გამოყენებაზე და ასევე პირველადი დახმარების სახელმძღვანელო პრინციპებს, მოწამვლის შემთხვევაში. ფერმერთა ცნობიერების ამაღლება შეამცირებს პესტიციდების ბოროტად გამოყენებასა და მათი საქმიანობიდან გამომდინარე საფრთხეების რისკს შერეულ პესტიციდებსა და სხვა აგროქიმიკატებთან მიმართებაში.

გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან ერთად მაისში, ივნისსა და ივლისში გაიმართა შეხვედრები ფერმერებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კახეთის, იმერეთისა და აჭარის რეგიონებში.

ევროინტეგრაციის კუთხით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტების მიერ ყველა განხორციელებული ღონისძიება შუქდება მასმედიის საშუალებით (საინფორმაციო სააგენტოები, ტელევიზიები, რადიო), ასევე, თავსდება სააგენტოსა და სამინისტროს ვებგვერდებზე და სოციალურ ქსელში არსებულ შესაბამის ოფიციალურ გვერდებზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ DCFTA-ს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების „ინფორმაციის მიწოდება შრომის კოდექსის განხორციელების თაობაზე“ ფარგლებში 2014 წელს განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები (საინფორმაციო შეხვედრები, პრეზენტაციები, განხილვები).

2014 წლის 28 ივლისიდან 3 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა ჯგუფური კონსულტირებები/ტრენინგები შემდეგ თემებზე: სამუშაოს მოძიება, თვითშეფასება, დასაქმებისათვის საჭირო დოკუმენტაცია (CV და სამოტივაციო წერილი), გასაუბრებაზე გასვლის ტექნიკა და თვითპრეზენტაციის უნარები. კონსულტირებას დაესწრო 5422 ადამიანი, მათ შორის 113 პრობაციონერი და 24 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

ამასთან, 2014 წლის 20 ოქტომბერს თბილისში გაიმართა დასაქმების ფორუმი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 141 დამსაქმებელმა და 10 პროფესიულმა კოლეჯმა. დასაქმდა 180-ზე მეტი სამუშაოს მაძიებელი.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტების მიერ გადამზადდა 13 შრომის მედიატორობის კანდიდატი, მოხდა კანდიდატთა სერტიფიცირება, რომელთაგან საბოლოოდ შეირჩა 8 მედიატორი. ასევე, გადამზადდა ცხელი ხაზის 43 ოპერატორი შრომის უფლებების საკითხებთან დაკავშირებით.

2014 წლის 6-7 მაისს, ბრიუსელში, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს (EUGBC) ორგანიზებით განხორციელდა ქართველ ბიზნესმენტთა დელეგაციის ვიზიტი.

2014 წლის 2 ივნისს, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს ორგანიზებით საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ეკონომიკური ფოტო-გამოფენა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ქართველი მეწარმეები და ევროპულ ბაზარზე ექსპორტით დაინტერესებული საქართველოში მოქმედი კომპანიები.

16 სექტემბერს, ასოცირების შეთანხმებისა და მისი კომპონენტის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (AA/DCFTA) შესახებ ბიზნეს წრეებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ჩამოყალიბდა EUGBC-ის ექსპერტთა საბჭო.

EUGBC-ის მიერ 2014 წლის განმავლობაში თბილისში, ბათუმსა და სიღნაღში, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი თემაზე - „ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების/DCFTA პერსპექტივები - ევროკავშირთან ვაჭრობაში სატარიფო და არასატარიფო ბარიერების განხილვა“.

DCFTA-ის ამოქმედების ხელშეწყობასთან დაკავშირებით, 30 ოქტომბერს, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

ამასთან, ოქტომბრის თვეში, ექსპერტებისათვის გაიმართა რამდენიმე ვიზიტი EUGBC – ის წევრ კომპანიებში: „ბაგრატიონი 1882“, „სარაჯიშვილი“, „სნო“ და „ნატახტარი“.

ევროკავშირი-საქართველოს ბიზნესსაბჭოს ორგანიზებით მოეწყო ბიზნესდელეგაციის ვიზიტი ავსტრიაში და ბიზნეს ექსპო, ეკონომიკური ფოტო-გამოფენა - (EUGBC Expo) ვენაში. ამასთან, ეკონომიკური ფოტო-გამოფენა გაიმართა ბრატისლავაში. გარდა ამისა, გამოიცა ბროშურები თემაზე „ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული სტანდარტები“.

3. საქართველოში ევროინტეგრაციის პროცესის პოპულარიზაცია

ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო აქტიურად ახორციელებს პრევენციულ აქტივობებს ტრეფიკინგის თემაზე ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების საშუალებით. 2014 წლის თებერვალში დამტკიცდა ტრეფიკინგთან ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო სტრატეგია. საინფორმაციო კამპანიის სტრატეგია მიზნად ისახავს ადამიანით ვაჭრობის საფრთხეების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმაციის მიწოდების სწორი საშუალებებისა და გზების შერჩევას. საინფორმაციო სტრატეგიის ფარგლებში განისაზღვრა სამიზნე ჯგუფები, კამპანიის გეოგრაფიული არეალი, საინფორმაციო კამპანიის მეთოდოლოგია და რესურსები.

საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- 2014 წლის 5 თებერვალს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის უნივერსიტეტების 12 სტუდენტს ჩაუტარდა „ტრენერთა ტრენინგი“ ადამიანით ვაჭრობის თემაზე. ტრენინგი მიზნად ისახავდა ტრეფიკინგის თემაზე სტუდენტების გადამზადებას, რომელთაც აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია უნდა გავრცელებინათ საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსწავლეებში. ტრენინგი ორგანიზებულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრის“, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მიგრაციის ცენტრის“ მიერ;
- 2014 წლის თებერვალ-მარტში საბჭოს მიერ დატრენინგებულმა სტუდენტებმა არაერთი საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარეს ადამიანით ვაჭრობის თემაზე. შეხვედრები შედგა ბათუმში, ქუთაისში, ტყიბულში, გეგუთსა და თბილისში, რომელშიც 330 მოსწავლე მონაწილეობდა;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ საქართველოში ევროკავშირის დელეგაციასთან, სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრთან“, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდთან“, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატსა და ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან“ თანამშრომლობით ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თემაზე 2014 წლის მაისში ჩაატარა იმპირებული სასამართლო პროცესების კონკურსი, რომელიც განხორციელდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში <http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/364>. კონკურსში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხუთი სტუდენტისაგან შემდგარმა 30 გუნდმა. პროექტი მიზნად ისახავდა თბილისისა და რეგიონების სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას ადამიანით ვაჭრობის საკითხებზე, ასევე, სასამართლოში წარმომადგენლობის უნარ-ჩვევების გამომუშავება/დახვეწასა და სტუდენტთა დაახლოებას. კონკურსის ფარგლებში სტუდენტებმა მოამზადეს ტრეფიკინგის საქმეზე წერილობითი და ზეპირი პოზიციები. იმპირებული პროცესის დასკვნითი ეტაპი გაიმართა 2014 წლის მაისის ბოლოს. კონკურსში გამარჯვებულებს გადაეცათ სხვადასხვა სახის პრიზები. ამასთან, ისინი სტაჟირებას გაივლიან ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდსა და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში.

- 2014 წლის თებერვალში ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა „ლიდერთა სახლის“ პროექტის ფარგლებში საქართველოს დიდ ქალაქებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ „იუსტიციის სახლის“, სსიპ „იუსტიციის სასწავლო ცენტრის“, სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრისა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „მიგრაციის ცენტრის“ მიერ. შეხვედრები თბილისში, რუსთავეში, ქუთაისში, ბათუმში, გურჯაანსა და თელავში გაიმართა, რომელშიც სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები იღებდნენ მონაწილეობას.
- 2014 წლის მარტში სამი საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა საბჭოს სამდივნოსა და ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მობილურ ჯგუფებთან, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფარგლებში. საბჭოს მხრიდან მობილურ ჯგუფებს მიეწოდათ ინფორმაცია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკისა და თავის დაცვის საშუალებების შესახებ, ასევე, გადაეცათ ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვებში გასავრცელებელი მასალა;
- 2014 წლის 22 მარტს ტრეფიკინგის თემაზე საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა თბილისის სკოლების 20 მოსწავლესთან;
- 2014 წლის 27 მარტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია (ELSA) საქართველოს მიერ ორგანიზებულ იქნა ტრეფიკინგის თემაზე საინფორმაციო შეხვედრა თბილისის სხვადასხვა უნივერსიტეტის 20 სტუდენტთან;
- 2014 წლის 29 მარტს საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და ა/ო „სამოქალაქო განვითარების სააგენტოს“ (CIDA) ორგანიზებით ტრეფიკინგის თემაზე საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა რუსთავეში. შეხვედრაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები და მოსახლეობა (20 მონაწილე) (<http://www.migrant.ge/geo/media/news/full/50>).

2014 წლის მარტში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ გამოაცხადა საგრანტო კონკურსი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის. კონკურსის მიზანს წარმოადგენდა ტრეფიკინგის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. კონკურსის შედეგად გაიმარჯვა ა/ო „მიგრაციის ცენტრმა“, რომელმაც სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები (ბროშურების მომზადება და დარიგება, საინფორმაციო შეხვედრები) განახორციელა აჭარის რეგიონში, ბათუმში.

2014 წლის მარტსა და დეკემბერში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას გადასცა 90 000 საინფორმაციო ბროშურა ტრეფიკინგთან დაკავშირებით, შემდგომში მოქალაქეებსა და ტურისტებს შორის გავრცელების მიზნით. ბროშურები შედგენილია ქართულ, ინგლისურ, თურქულ, სპარსულ და რუსულ ენებზე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა, სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, 2014 წლის განმავლობაში, ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის საქართველოს ტურისტული, ისტორიული და კულტურული ღირებულებების უკეთ გაცნობის მიზნით ორგანიზება გაუწია პრეს და გაცვობით ტურებს შემდეგი ქვეყნებიდან: გერმანია (2 ტუროპერატორი, 1 ჟურნალისტი); ლატვია და ლიტვა (33 ტუროპერატორი და ჟურნალისტი); ჩეხეთი და პოლონეთი (16 ტუროპერატორი, 11 ბლოგერი); დიდი ბრიტანეთი (3 ტუროპერატორი); ჰოლანდია; იტალია (16 ჟურნალისტი, 2 ტუროპერატორი); უნგრეთი (7 ჟურნალისტი); სლოვაკეთი (9 ჟურნალისტი).

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით გაიმართა საინფორმაციო შეხვედრა 1+4 სტუდენტების წარმომადგენლებთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია ასოცირების შეთანხმებაზე და მისგან მომდინარე სარგებელზე, მათ შორის სტუდენტებისთვის მობილობის და განათლების შესაძლებლობებზე. 1+4 პროგრამის მონაწილე სტუდენტებისთვის გამოცხადდა ესეების კონკურსი თემაზე "საქართველოს ევროინტეგრაცია და მე". შეიქმნა საკონკურსო კომისია, რომლის წევრებმაც შესრულებული ესეები განიხილეს და სამი გამარჯვებული გამოავლინეს. ხუთი საუკეთესო ესე გამოქვეყნდა გაზეთებში „გურჯისტანი“ და „ვრასტანი“, ხოლო სამი გამარჯვებული ესე გამოქვეყნდა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისათვის ევროკავშირის მიმდინარე ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში კომპანია T-Studio-მ მოამზადა კლიპი ევროინტეგრაციის თემაზე ქართულად და ოთხ უმცირესობის (აფხაზური, ოსური, აზერბაიჯანული, რუსული) ენაზე. კლიპი ხუთივე ენაზე გადიოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით „ნაციონალური მოამბის“ ბადეში ასოცირების შეთანხმების ხელმოწერამდე ორი თვის განმავლობაში, ყოველ დღე. კლიპი გავიდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ლიბერალური აკადემია-თბილისი“-ს სახელით.

2014 წლის 24 სექტემბრიდან 27 სექტემბრის ჩათვლით, საქართველოში გაიმართა ლატვიის კულტურის დღეები, რომლის ფარგლებშიც საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში გაიხსნა გამოფენა „იული სტრაუმე - 140“ და თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ლატვიის სახელმწიფო აკადემიური გუნდის „ლატვია“ კონცერტი.

ევროკომისიის საჯარო სამსახურების დამმობილების (TWINNING) პროექტის „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინსტიტუციონალური განვითარების მხარდაჭერა“ ფარგლებში:

- 2014 წლის 21 მაისს, გაიმართა სემინარი თემაზე - „ფონდების მოძიება და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა სოციო-ეკონომიკური განვითარებისთვის“;
- 2014 წლის 30 მაისს, მოეწყო სემინარი - „საერთაშორისო კონვენცია კულტურულ და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“;
- 2014 წლის 2-6 ივნისს, ჩატარდა ტრენინგ კურსი - „გამოფენების დაგეგმვა-ორგანიზება და საიტების პრეზენტაცია“;
- 2014 წლის 11-17 ივნისს, გაიმართა ტრენინგების ტრენინგი, რომლის მიზანი იყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლების მომზადება, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ ტრენინგებად პროფესიონალებისთვის და მომავალში ცოდნა გადასცენ კოლეგებს;
- 2014 წლის 30 ივნისიდან 28 ივლისამდე, მოეწყო ტრენინგ კურსი - „რესტავრაციისა და კონსერვაციის შეფასება და მონიტორინგი“;
- 2014 წლის 9-18 სექტემბერს, ჩატარდა ტრენინგ კურსი ორ მოდულად - მუზეუმ-ნაკრძალების ეფექტური საქმიანობა;
- 2014 წლის 12 სექტემბერს, გაიმართა სემინარი - „მედია და კომუნიკაცია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში“.

2014 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ევროკომისიასთან „Creative Europe“-ის სამუშაო ქსელთან საქართველოს ოფიციალური მიერთებისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საბოლოო ვერსიის მოწოდების თაობაზე.

15 დეკემბერს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში გაიმართა პროექტის „ტრადიციული რეწვის სექტორში არსებული მდგომარეობის კვლევა და განვითარების პერსპექტივები“ პრეზენტაცია, რომელიც ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კულტურისა და „Investing in People“ პროგრამების ფარგლებში განხორციელდა.

ტრადიციული რეწვის სექტორში არსებული მდგომარეობის კვლევა „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრმა“ ჩაატარა. ღონისძიებაზე იმსჯელეს რეწვის სექტორის განვითარების გზებზე. ამასთან, პრეზენტაციის დროს დასახელდა ტრადიციული რეწვის სექტორში ეკონომიკურ მდგრადობაზე ორიენტირებული მცირე გრანტების პროგრამის 11 გამარჯვებული პროექტი.

2014 წლის 5-11 მაისს საინფორმაციო ცენტრისა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, ასევე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოების მხარდაჭერით გაიმართა ევროპის კვირეული. ევროპის კვირეული კონფერენციით „ჩვენი ევროპული არჩევანი“ გაიხსნა, რომელიც ევროკავშირის თემაზე წინასწარ გამოცხადებული ესეების კონკურსისა და თბილისის სამხატვრო აკადემიაში გამოცხადებული კონკურსის დასკვნით ფაზას წარმოადგენდა. ღონისძიების ფარგლებში დაჯილდოვდნენ კონკურსებში გამარჯვებული სტუდენტები, რის შემდეგაც ექსპერტებისა და სტუდენტების მონაწილეობით საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობისა და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების საკითხებზე დისკუსია გაიმართა.

9 მაისს საინფორმაციო ცენტრმა თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ევროპის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. აღნიშნული ღონისძიება საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ორგანიზებით გაიმართა და მასში ევროკავშირის წევრი ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლობები მონაწილეობდნენ.

საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით ესტონეთის საელჩოში სტუდენტებისთვის ღია კარის დღე გაიმართა. ესტონეთის ელჩი პრიიტ ტურკი სტუდენტებს ევროინტეგრაციის გზაზე ესტონეთის გამოცდილების შესახებ ესაუბრა. შეხვედრის ფარგლებში გაიმართა საინფორმაციო ბროშურების პრეზენტაცია, რომელიც ესტონეთის საელჩოს მხარდაჭერით დაიბეჭდა.

ევროპის კვირეულის ფარგლებში ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას ღია სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტები ეწვივნენ. სტუმრებს სიტყვით მიმართეს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის მოადგილემ რაიან გრისტემ და პრესისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფისის ხელმძღვანელმა ენ ვესენმა. შეხვედრაზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ფუნქციებსა და მიზნებზე ისაუბრეს.

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ინიციატივით 6 მაისის ბათუმის პარკში სპორტული მარათონი მოეწყო. მასში სპორტული სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობდნენ. მარათონის დასრულების შემდეგ ხელნაკეთი ნივთების გამოფენა გაიმართა. ბათუმის

გამომგონებელთა კლუბის მოსწავლეებმა ევროკავშირის თემაზე შექმნილი ნამუშევრები წარმოადგინეს. ამასთან შეხვედრა გაიმართა საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებთან ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში. შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის აქტუალურ საკითხებს, ევროპული ფასეულობებს და მათი გავრცელების მნიშვნელობას, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით არსებულ გამოწვევებს, რეგიონალური უსაფრთხოების თემებსა და საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს.

შეხვედრა გაიმართა მარნეულის ახალგაზრდული ცენტრის მსმენელებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო მარნეულის ახალგაზრდული ცენტრის მოსწავლეების მიერ დამზადებული ფარდაგებისა და ევროკავშირის თემაზე ნახატების გამოფენა. ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრსა და მარნეულის ახალგაზრდულ ცენტრს შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმით ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრმა აიღო ვალდებულება, მარნეულის ახალგაზრდულ ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით განახორციელოს სხვადასხვა პროექტები, რაც ხელს შეუწყობს ქვემო ქართლის რეგიონის მოქალაქეების ევროპულ და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესში აქტიურ ჩართვას. საანგარიშო პერიოდში უკვე განხორციელდა 5 ერთობლივი პროექტი.

საინფორმაციო ცენტრის ინიციატივით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს ლიტვის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იონას პასლაუსკასი და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ საკითხებში სპეციალური წარმომადგენლები (ლიტვა - ვაიდოტას ვერბა; შვედეთი - მარტინ ჰაგსტრომი; საფრანგეთი - სერგე სმესოვი; რუმინეთი - რუსო რაზვანი) ეწვივნენ. სტუმრებმა სტუდენტებთან შეხვედრა გამართეს.

ამასთან, საინფორმაციო ცენტრი აქტიურად მუშაობდა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან, მათ შორის: სტუდენტებთან, მოსწავლეებთან, პედაგოგებთან, რეგიონებში მცხოვრებ მოქალაქეებთან, ადგილობრივი მმართველობების წარმომადგენლებთან, აკადემიური წრეების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნესის წარმომადგენლებთან, მედიასთან.

2014 წლის 30-31 მაისს მასწავლებლებისთვის ორდღიანი სემინარი - „მასწავლებელი - მეგზური ევროპისკენ“ გაიმართა. სემინარის მიზანი მასწავლებლების ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმირება და ამ პროცესში მათი აქტიურად ჩართვა იყო. სემინარის ფარგლებში, ასევე, მოეწყო საინფორმაციო ცენტრის მიერ გამოცხადებულ კედლის გაზეთების კონკურსის „ჩემი ევროპული მომავალი“ ნამუშევრების გამოფენა.

2014 წლის განმავლობაში ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით სტუდენტებისთვის 40-მდე ღონისძიება მოეწყო, რომელშიც თბილისისა და რეგიონების სხვადასხვა უნივერსიტეტის 1 500-მდე სტუდენტი მონაწილეობდა. სტუდენტებთან რეგულარულად მართავდნენ შეხვედრებს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები (შეხვედრა გამართეს: ლიტვის, რუმინეთის, ესტონეთის, ჩეხეთისა და დიდი ბრიტანეთის ელჩებმა).

40-მდე ღონისძიება განხორციელდა საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით მოსწავლეებისთვის. ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში. გაიმართა

რამდენიმე სპორტული ღონისძიება, სიმულაციური თამაში და კინოჩვენება. მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ, მოენახულებინათ სამხედრო ბაზები და სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებები. ამასთან, საქართველოს ყველა სკოლაში გამოცხადდა კედლის გაზეთების კონკურსი - „ჩემი ევროპული მომავალი“.

100-მდე საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

- იმერეთის რეგიონი: 32 ღონისძიება;
- კახეთის რეგიონი: 18 ღონისძიება;
- აჭარის რეგიონი: 30 შეხვედრა;
- სამეგრელოს რეგიონი: 34 შეხვედრა

ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის ინიციატივით გაიმართა შეხვედრები სამცხე-ჯავახეთში, ახალციხესა და ახალქალაქში გამგეობების, ადგილობრივი თვითმმართველობების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან.

განსაკუთრებულ ყურადღება ენიჭება ჟურნალისტებისთვის ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას. ამ მიზნით გაიმართა არაერთი თემატური სემინარი მედიის წარმომადგენლებთან.

2014 წლის 14-16 ივლისს ესტონეთის აღმოსავლეთ პარტნიორობის ცენტრის, საქართველოში ესტონეთის საელჩოს, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით გაიმართა სემინარი ადგილობრივი და რეგიონული მედიის წარმომადგენლებისთვის.

კომუნიკაციის სტრატეგიის ფარგლებში ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გამოიცემა კვარტალური საინფორმაციო-ანალიტიკური ჟურნალი - „საქართველოს ევროპული გზა“ ქართულ და ინგლისურ ენებზე. ჟურნალის მიზანია დაინტერესებულ მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე ევროინტეგრაციის პროცესში განხორციელებული რეფორმებისა და ღონისძიებების შესახებ.

2007 წლიდან, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, ტრადიციულად, ტარდება საერთაშორისო კონფერენცია - „საქართველოს ევროპული გზა“. 2014 წლის 10-11 ივლისს, ბათუმში, გაიმართა რიგით მე-11 საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ევროკავშირისა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების, ევროკავშირის ინსტიტუტებისა და საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მაღალი რანგის თანამდებობის პირები, ასევე, არასამთავრობო და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები. კონფერენცია მიემდგვნა ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და მისი ნაწილის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებს და რიგის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტისთვის საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის დღის წესრიგს. კონფერენციაზე, ასევე, განიხილეს აღმოსავლეთ ევროპაში

უსაფრთხოებისა და სტაბილურობის კუთხით არსებული გამოწვევები, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივები და საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ სტრატეგიის განხორციელების საკითხები.

2014 წლის 15-16 აპრილს, საგამოფენო ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია თემაზე - „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკა: გამოწვევები და პერსპექტივა“, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ექსპერტები სლოვენიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, დიდი ბრიტანეთიდან და უკრაინიდან.

კონფერენციის ძირითადი თემებს წარმოადგენდა საქართველოს სპორტის სახელმწიფო პოლიტიკის განვითარება; სპორტის სამართლებრივი ბაზა და სპორტული არბიტრაჟი; საქართველოში ოლიმპიური მოძრაობა და სპორტი ყველასათვის; ასევე, სპორტში ინვესტირების ხელშეწყობა და დაფინანსების გზები.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით 8 მაისიდან 6 ივნისის ჩათვლით გაიმართა „სტუდენტური დღეები 2014 - ევროპული მომავლისთვის“, რომელიც მოიცავდა როგორც ინტელექტუალურ, ასევე სპორტულ და გასართობ ღონისძიებებს დედაქალაქში და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

2014 წლის 1-3 ივლისს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით გაიმართა „ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) კონფერენცია - თანამშრომლობის განვითარება ახალგაზრდულ სფეროში“. ღონისძიების ფარგლებში მოეწყო ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ დისკუსია პანელში, საინფორმაციო დღე ევროკავშირის პროგრამასთან „ERASMUS +“ დაკავშირებით, ეროვნულ დონეზე მოქმედი სუბიექტების ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე მრგვალი მაგიდა და სემინარი.

2014 წლის 14-16 ოქტომბერს რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების პროგრამის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან. შეხვედრაზე განიხილეს ასოცირების შესახებ შეთახმებასთან და ახალგაზრდობასთან დაკავშირებული საკითხები.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის სსიპ ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მიერ 2014 წლის განმავლობაში გაიმართა მრავალი საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიება საქართველოს რეგიონებში, კერძოდ, სამეგრელოს, ზემო სვანეთის, აჭარის, იმერეთის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში. საინფორმაციო ცენტრის სამეგრელოს, იმერეთის, აჭარისა და კახეთის ბიუროები რეგულარულად ახორციელებდნენ შეხვედრებს.

2014 წლის განმავლობაში საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებითა და მონაწილეობით სულ გაიმართა 300 მდე შეხვედრა:

- სკოლებში - 60 შეხვედრა;

- უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში - 40 შეხვედრა;
- რეგიონებში - 114 ღონისძიება;
- გამოფენა - 5;
- კონკურსი - 5;
- მარათონი - 4;
- დებატი - 5;
- ინტელექტუალური თამაში „City Game“ – 3;

გაიხსნა 25 ახალი საინფორმაციო კუთხე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შორის დანაშაულის პრევენციის მიზნით გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმი მიზნად ისახავს: მსჯავრდებულთა ზოგადი და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას; სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აღსრულების ხელშეწყობას; ერთობლივი საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებების გამართვას.

ქართული ენის უცხოელი შემსწავლელებისთვის და ქართველი ემიგრანტებისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სპეციალური ვებგვერდი შექმნა. ვებგვერდის ბმული (geo.fl.ge) განთავსებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს საელჩოების ოფიციალურ გვერდებზე და ქართული ენის სწავლა/სწავლების მსურველები მსოფლიოს 70 ქვეყნიდან (გერმანია, პოლონეთი, საბერძნეთი, შვეიცარია, არგენტინა, ბელგია, შვედეთი, რუსეთი, საფრანგეთი, იტალია, ავსტრია, უკრაინა, ინგლისი, ირანი, ავსტრალია, ჩილე, ჩინეთი, თურქეთი და ა.შ.) მას აქტიურად იყენებენ.

საქართველოს მეცნიერები „ელსევიერის“ უმსხვილესი საერთაშორისო სამეცნიერო ბაზით უფასოდ ისარგებლებენ. მეცნიერებისთვის ელექტრონულად ხელმისაწვდომი გახდება მთელ მსოფლიოში გამოქვეყნებული სამეცნიერო ლიტერატურა, არა მხოლოდ მოკლე ანოტაციების, არამედ შრომების სრული ვერსიების დონეზეც. „ელსევიერის“ ელექტრონული ბაზა შესაძლებელს გახდის ასევე ციტირებისა და სხვა ბიბლიომეტრული ინფორმაციის მოპოვებას. ამასთან, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი მიიღებს წვდომას (SciVal Funding™) მეცნიერთა და სამეცნიერო პროექტების დაფინანსების საძიებო ბაზასა და რეცენზენტთა საძიებო ბაზაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სტუდენტებისთვის 2013 წლიდან აამოქმედა და სისტემატიურად ახორციელებს „ზაფხულისა და ზამთრის სკოლების პროგრამებს“. გაიმართა 2013-2014 სასწავლო წელს განხორციელებული ზაფხულისა და ზამთრის სკოლების შედეგების შემაჯამებელი კონფერენცია, რომელზეც წარმოდგენილი იყო 8 გამარჯვებული პროექტის პრეზენტაცია. სამინისტროს მიერ ინიცირებული პროექტის მიზანია კონკურსის წესით დაფინანსდეს სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი პროექტები მეცნიერულად აქტუალურ და რელევანტურ თემებზე.

ზემოაღნიშნული თემები გაშუქდა ყველა ცენტრალური ტელევიზიით. თითოეულ სიახლეზე გამოქვეყნდა მინიმუმ ერთი ბეჭდური ან/და ელექტრონული სტატია.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სსიპ - ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის ორგანიზებით, 2014 წლის ოქტომბერში ჩატარდა ტრენინგები თემაზე „ევროინტეგრაციის საფუძვლები“. აღნიშნულ ტრენინგები გაიარა 60-ზე მეტმა ადგილობრივმა თვითმმართველობის საჯარო მოხელემ.

ევროკავშირის პროექტის - „საერთაშორისო მდინარეთა აუზების გარემოს დაცვის“ ფარგლებში, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარდა ეროვნული და რეგიონული სემინარები სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის წყლის სააუზო მართვაზე. სემინარების მიზანია აღნიშნულ სამიზნე ჯგუფებში ცნობიერების ამაღლება ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის შესაბამისად.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა ჩატარა კონფერენცია „მწვანე ეკონომიკა საქართველოს განვითარებისთვის“. კონფერენციის მიზანია ხელი შეუწყოს მწვანე ეკონომიკის საკითხების განვითარებას, მათ შორის ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

2014 წლის 27 მაისს, სასტუმროში „შერატონ მეტეხი პალასი“, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით კონფერენცია - „ქართული დიასპორის დღეები 2014“ გაიხსნა. კონფერენციაზე წარდგენილ იქნა ორი ინოვაციური პროექტი, თანამემამულეთა გლობალური ქსელისა (TANAMEMAMULE.GE) და ონლაინ სკოლის შესახებ.

2014 წლის 12-18 ოქტომბერს დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატმა საერთაშორისო დიასპორის ჩართულობის ალიანსთან თანამშრომლობით, საქართველოში პირველად გამართა „გლობალური დიასპორული კვირეული“, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ალიანსში გაწევრიანებული ქვეყნების უმეტესობაში აღინიშნება. გლობალური დიასპორული კვირეულის მთავარ იდეას წარმოადგენდა სამშობლოში მიმდინარე პროცესებში დიასპორის მაქსიმალური ჩართულობა და მათი სამშობლოსთან ერთიანობის განცდის ხაზგასმა. „გლობალური დიასპორული კვირეულის“ ფარგლებში საქართველოში ჩატარდა ეკონომიკური ფორუმი, მოეწყო დიასპორული მართონი და გამოფენა, დიასპორული კვლევის პრეზენტაცია, გამოვლინდნენ ვიდუო კონკურსში გამარჯვებულები - „დიასპორა - ხიდი საქართველოსთან“, გაიმართა 1924 წლის აჯანყებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. ჭიათურაში გაიხსნა მემორიალი, რომელიც ეძღვნება 1924 წლის ეროვნულ აჯანყებაში დაღუპულ გმირთა ხსოვნას.

2014 წლის 17 ნოემბერს, ყვარელში, ევროკავშირის მხარდაჭერით, ლტოლვილთა დანიის საბჭოსთან თანამშრომლობით, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ორგანიზებული კონფერენცია გაიმართა. ღონისძიება მიემდგნა უწყების ინსტიტუციონალურ გაძლიერებას და მოეწყო პროექტის „დიასპორის როლის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში. ფორუმში მონაწილეობა მიიღეს მიგრაციის, განათლებისა და მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე ექსპერტებმა, ემიგრაციის მკვლევარებმა და საზოგადო მოღვაწეებმა.

დიასპორის გლობალური ქსელის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა სხვადასხვა სახის ინფორმაციის (ეკონომიკის, განათლების, სოციალური სფეროს და სხვა მიმართულებით) მიწოდება უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების, დიასპორული ორგანიზაციებისა და ქსელში დარეგისტრირებულ მომხმარებლებისათვის. ამჟამად დასრულებულია ვებ-პორტალის ტექნიკური განვითარება და მიმდინარეობს პროგრამების დამატება. ვებ-პორტალი მზად არის დაარეგისტრიროს მომხმარებლები.

4. ევროინტეგრაციის საკითხებზე საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება

2013 წლის ნოემბრიდან, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, მიმდინარეობს ევროკავშირის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENPI) ფარგლებში დაფინანსებული პროექტი - „კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, საქართველო“. პროექტი დასრულდება 2015 წლის ნოემბერში. პროექტი მიზნად ისახავს ინსტიტუციონალური და ადამიანური რესურსების შესაძლებლობების განვითარებას იმ სამინისტროებსა და სამთავრობო უწყებებში, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში მიმდინარე საქმიანობაზე, განსაკუთრებით ევროინტეგრაციის კუთხით, რომელიც კიდევ უფრო გაძლიერდა 2014 წელს ევროკავშირისა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდგომ.

პროექტი სამი კომპონენტისგან შედგება. I კომპონენტი ეხება ადმინისტრაციული კვალიფიკაციის ამაღლებას იმ ორგანიზაციებში, რომლებიც ხელს უწყობენ ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების განვითარებას (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო). აღნიშნული კომპონენტი ასევე მოიცავს (1) პროფესიონალურ ტრენინგს, რომელიც საფუძვლად დაედება სახელმძღვანელოების შექმნას ევროინტეგრაციის ძირითად საკითხებზე, (2) თემატურ სასწავლო ვიზიტებს, (3) საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავებას ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობების შესახებ.

1.1. ქვე-კომპონენტი - „სასწავლო კურსები დიპლომატებისა და სხვა სახელმწიფო მოხელეებისათვის“ - წარმატებით განხორციელდა. 2014 წლის მაისიდან 28 დაგეგმილი სემინარიდან 18 განხორციელდა, 228 მონაწილემ მიიღო სემინარებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი. მონაწილეების გამოხმაურება პოზიტიურია.

აღნიშნული ქვე-კომპონენტის ფარგლებში დაგეგმილი ოთხი სასწავლო ვიზიტიდან ორი 2014 წლის სექტემბერში უკვე განხორციელდა. პირველი, 15 მონაწილით, რომელიც ფოკუსირებული იყო ევროკავშირის კანონმდებლობის თემაზე - ესტონეთსა და ფინეთში და მეორე, 10 მონაწილით მოლაპარაკებების თემაზე ბრიუჯესა და ბრიუსელში.

აღნიშნული სემინარების მოკლე შეჯამება:

თემა	თარიღი	ლექტორი	მონაწილეთა რაოდენობა
ევროკავშირის კანონმდებლობა (Acquis) და ევროკავშირის ნორმებთან დაახლოების პროცესი	12 – 16 მაისი, 2014	პროფესორი ადამ ლაზოვსკი	21
	2 – 6 ივნისი, 2014	პროფესორი ადამ ლაზოვსკი	30

სემინარი მიზნად ისახავდა მონაწილეების ინფორმირებას და მათი ცოდნის ამაღლებას კანონმდებლობის დაახლოების მეთოდოლოგიასა და ევროკავშირ - საქართველოს ასოცირების შეთანხმებაში მოცემული ვალდებულებების შესახებ. გარდა ამისა, სემინარზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო წევრი სახელმწიფოების, ასევე, ევროკავშირთან სამართლებრივი დაახლოების მიმართულებით ჩართული კანდიდატი ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების წარმოდგენას. თითოეული სემინარი ძირითადად იმ საჯარო მოხელეებზე იყო გათვლილი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმების განხორციელებაზე.

სემინარში შემდეგი უწყებების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, საქართველოს სოფლის მეურნეობის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა, განათლების, თავდაცვისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროები.

თემა	თარიღი	ლექტორი	მონაწილეთა რაოდენობა
ანგარიშის მომზადება და პრეზენტაციის უნარები	19 – 23 მაისი, 2014	მაიკლ რობერტსი	12

სემინარი მიზნად ისახავდა საჯარო მოხელეების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას ანგარიშის მომზადების, ბრიფინგებისა და პრეზენტაციების მიმართულებით. სემინარის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ ის საჯარო მოხელეები, რომლებიც უშუალოდ პასუხისმგებელნი არიან ინფორმაციის გავრცელებაზე ევროინტეგრაციის სფეროში, ან აღნიშნულ სფეროში სხვადასხვა დაინტერესებული საზოგადოებრივი ჯგუფების კითხვებზე პასუხის გაცემაზე, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით.

სემინარში შემდეგი უწყებების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს შემოსავლების სამსახური, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის, სოფლის მეურნეობის, იუსტიციის, შინაგან საქმეთა, განათლების, თავდაცვისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროები. საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თბილისის სტატისტიკის ბიურო, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო და საქართველოს კომუნიკაციის ეროვნული კომისია.

თემა	თარიღი	ლექტორი	მონაწილეთა რაოდენობა
მოლაპარაკების უნარები	16 -20 ივნისი, 2014	პოლ მირიტსი	50

ტრენინგი მიზნად ისახავდა საჯარო მოხელეებისათვის მოლაპარაკებების პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობას. კერძოდ, საკუთარი პოზიციების სიტყვიერი თუ წერილობითი ფორმით გასაგებად და თანამიმდევრულად ფორმულირება, ცნობიერების ამაღლება მოლაპარაკებების პროცესის მიზანზე, არსსა და ზეგავლენაზე, განსაკუთრებით ევროინტეგრაციის სფეროსთან მიმართებაში, ორმხრივი და მრავალმხრივი მოლაპარაკებების სპეციფიკის გაცნობა.

სემინარში მონაწილეობა მიიღეს შემდეგი სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლებმა: საქართველოს საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, ფინანსთა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების და თავდაცვის სამინისტროები. საქართველოს შემოსავლების სამსახური, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თბილისის სტატისტიკის ბიურო, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო, საქართველოს საჯარო სამსახურის ბიურო, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო, საქართველოს უზენაესი სასამართლო.

თემა	თარიღი	ლექტორი	მონაწილეთა რაოდენობა
ინფორმაციული ტექნოლოგიების უნარ - ჩვევები	8 – 12 სექტემბერი, 2014	თეიმურაზ ყანჩელი	16

სემინარი მიზნად ისახავდა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავებას ინტერნეტისა (სოციალური მედია, სამიუზიკ სისტემები, მედიის წყაროები, ელექტრონული მიმოწერა, მობილური კავშირი) და ვებგვერდების ეფექტიანად გამოყენების თაობაზე მთავრობას, სხვა ინსტიტუციებსა და საზოგადოებას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით. სემინარზე განხილულ იქნა კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიები და ვებ-დიზაინი, მათი განვითარება და მართვა (საჯაროდ ხელმისაწვდომი პორტალების ჩათვლით, რომლებიც უზრუნველყოფენ განახლებული ინფორმაციისა და შესაბამისი მასალების მიწოდებას დაინტერესებული პირებისთვის). სემინარზე ასევე განხილულ იქნა ელექტრონული მართვის (E-governance) საკითხები.

გარდა ჩამოთვლილი მიზნებისა სემინარი, ასევე, შეეხო ICT-სთან და ციფრულ ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ თემებს საინფორმაციო ტექნოლოგიების მოკლე ისტორიისა და საქართველოს სამთავრობო უწყებებში გამოყენებული ციფრული პროგრამების შესახებ.

სემინარში შემდეგი უწყებების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ: საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური, საქართველოს შემოსავლების სამსახური, საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს საგარეო საქმეთა, ფინანსთა, სოფლის მეურნეობისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროები, ასევე, ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი, საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო.

თემა	თარიღი	ლექტორი	მონაწილეთა რაოდენობა
ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი	27 – 31 ოქტომბერი, 2014	ეტელ ჰალისტე და თეიმურაზ ყანჩელი	29

ტრენინგის ძირითადი მიზანი იყო პროფესიული ცოდნის დონის ამაღლება და პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავება ინფორმაციის წყაროებთან დაკავშირებით, რომელიც ხელმისაწვდომია ევროკავშირის საჯარო ვებგვერდებზე და მონაცემთა ბაზებში. ასევე, სხვა ძირითად ვებგვერდებზე, რომლებზეც ევროკავშირთან დაკავშირებული ინფორმაციაა განთავსებული. მეორე მიზანს წარმოადგენდა მონაცემთა დამუშავებისა და ანალიზის უნარ-ჩვევების გაღრმავება იმ ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის უზრუნველყოფისათვის, რომელიც საჭიროა სტრატეგიული დაგეგმარების პროცესების ხელშეწყობისათვის, საჯარო სექტორში პოლიტიკის შემუშავებისა და მოლაპარაკებების წარმართვისათვის.

სემინარის მონაწილეები ძირითადად სამინისტროებისა (საქართველოს საგარეო საქმეთა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ფინანსთა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროები) და სამთავრობო უწყებების (ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი, სახელმწიფო აუდიტის ოფისი, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, საქართველოს შემოსავლების სამსახური, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე), ასევე საქართველოს პარლამენტისა და მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები იყვნენ.

თემა	თარიღი	ლექტორი	მონაწილეთა რაოდენობა
ევროინტეგრაციის პოლიტიკური განზომილება	17 – 21 ნოემბერი, 2014	ლაურ დელკორ	36

ტრენინგი ფოკუსირებული იყო ევროინტეგრაციის პოლიტიკურ განზომილებაზე. ტრენინგი ისტორიული და ინსტიტუციონალური მიმოხილვით დაიწყო ევროკავშირის ინტეგრაციის პროცესების გახსენებისა და მათზე ცოდნის გაღრმავების მიზნით და გაგრძელდა ევროკავშირის კონკრეტული პოლიტიკის მიმართულებით (საგარეო, უსაფრთხოების, გაფართოების და სამეზობლო).

ტრენინგი ძირითადად გამიზნული იყო, მაგრამ არ შემოიფარგლებოდა, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებასა და მისი კომპონენტის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შეთანხმების განხორციელებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოხელეებისათვის. ტრენინგზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებს. მონაწილეთა უმრავლესობას წარმოადგენდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს საგარეო საქმეთა

სამინისტროს თანამშრომლები. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პარლამენტის, ევროინტეგრაციის კომიტეტის, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა.

მონაწილეების მიერ შევსებული სემინარის შეფასების ფორმების თანახმად სემინარების უმრავლესობა უმაღლესი 4,5-5 ქულით შეფასდა. სემინარებს ასევე ესწრებოდნენ უმცროსი ექსპერტები, რომლებიც მასალებზე, უშუალოდ სემინარების პროცესსა და ტრენინგის პროცედურებზე დაყრდნობით მუშაობდნენ სახელმძღვანელოების შემუშავებაზე. აღნიშნული სახელმძღვანელოები შემდგომი ტრენინგების დროს გამოყენებული იქნება საგარეო საქმეთა სამინისტროს სასწავლო ცენტრის მიერ.

5. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოს ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზაცია

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა, სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ, 2014 წლის განმავლობაში, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოს ცნობადობის გაზრდისა და კერძო სექტორის განვითარების მიზნით მონაწილეობა მიიღო 10 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობაში, კერძოდ:

- 17-19 იანვარი - Ferie & Fritid, კოპენჰაგენი, დანია;
- 22-26 იანვარი - FITUR, მადრიდი, ესპანეთი;
- 7-9 თებერვალი - BALTOUR რიგა, ლატვია;
- 13-15 თებერვალი - BIT, მილანი, იტალია;
- 14-16 თებერვალი - TOUREST, ტალინი, ესტონეთი;
- 5-9 მარტი - ITB, ბერლინი, გერმანია;
- 20-22 მაისი - IMEX, ფრანკფურტი, გერმანია;
- 23-25 ოქტომბერი - Poznan International Travel Fair, პოზნანი, პოლონეთი;
- 3-5 ნოემბერი - WTM, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი;
- 18-20 ნოემბერი - EIBTM, ბარსელონა, ესპანეთი

ამავე პერიოდში, საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საქართველოს ტურისტული შეთავაზებების პოპულარიზაციისა და საკურორტო რეგიონების ცნობადობის ამაღლების მიზნით გაატარა მარკეტინგული კამპანია: პოლონეთში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, ავსტრიაში და უნგრეთში.

2014 წლის 31 ივლისიდან 30 აგვისტოს ჩათვლით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ორგანიზებით ბერლინის ევროპულ კულტურათა მუზეუმში საქართველოს კულტურის დღეები გაიმართა, რომლის ფარგლებში მოეწყო შემდეგი ღონისძიებები:

- ანსამბლის „შინ“ კონცერტი, რომლის დასასრულს შედგა ქართული ღვინისა და კერძების დეგუსტაცია;
- აფხაზური კულტურის საღამო;
- ქართული ღვინის საღამო;
- თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის - Georgian Sinfonietta-სა და ქართველი პიანისტის დუდანა მაზმანიშვილის კონცერტი;
- პროფესორ მანფრედ ნავროტას მოხსენება, სადაც ვრცლად ისაუბრა ქართულ-გერმანულ ურთიერთობებზე, რომელსაც საუკუნეების წინ ჩაეყარა საფუძველი;
- რუსუდან გორგილაძის წიგნის „კერპთაყვანისცემა“ საჯარო კითხვა;
- საჯარო დისკუსია თემაზე - „ახალგაზრდები და ისტორია სამხრეთ კავკასიაში“;
- პროფესორ როლფ შრადეს მოხსენება სვანური ხატწერის შესახებ;
- მწერალ ნინო ხარატიშვილის ლიტერატურული საღამო;
- ფილმის „გრძელი ნათელი დღეები“ ჩვენება;
- ანსამბლის „სულიკო“ კონცერტი. საღამოზე წარმოდგენილი იქნა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ორი ქართული ძეგლი: ქართული

პოლიფონიური სიმღერა და ღვინის დამზადების უნიკალური მეთოდისათვის საჭირო თიხის ტრადიციული ჭურჭელი - ქვევრი;

- ქართული კულტურის დღეების მოცეკვავეთა ჯგუფის „ხორუმი“ კონცერტი

2014 წლის 29 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით, საქართველომ, მასპინძელი ქვეყნის სტატუსით, მონაწილეობა მიიღო ირლანდიაში, დუბლინის გემების საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც წარმოდგენილი იყო ტრადიციული ადათ-წესები, თანამედროვე ხელოვნებასა და კინემატოგრაფიაში მიღწეული წარმატებები. კულტურული პროგრამის ფარგლებში გაიმართა ანსამბლების „სუხიშვილები“, „რუსთავი“, „შავფაროსნები“ კონცერტი და მოეწყო ხელოვნების სასახლის კოლექციების გამოფენა. ამასთან, მოეწყო ტრადიციული ხალხური რეწვის გამოფენა, რომლის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ტრადიციული ქართული ხალხური კულტურის სხვადასხვა მიმართულებები: კერამიკა, ნაქარგობა, ჭედურობა, სამუზეუმო მინაბამები, ქართული ლურჯი სუფრა და სხვა.

2014 წლის 16 სექტემბერს, პარიზში, მაიოლის მუზეუმში (Musée Maillol) დავით კაკაბაძის გამოფენა გაიხსნა. მაიოლის მუზეუმმა ხუთი თვის განმავლობაში უმასპინძლა ექსპოზიციას, სადაც დავით კაკაბაძის 40 ნამუშევარი არის გამოფენილი, მათ შორის, კონსტრუქციულ-დეკორატიული კოლაჟები და სხვადასხვა პერიოდის გრაფიკა, ზეთის და აკვარელის ნამუშევრები.

საქართველომ 2014 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ბაზრობებში, ფესტივალებში, გამოფენებსა და ბიენალეებში.

- 2014 წლის 13-16 მარტს, ლაიფციგში გაიმართა წიგნის საერთაშორისო ბაზრობა, რომელზეც საქართველო მეორედ წარსდგა ეროვნული სტენდით;
- 2014 წლის 8-10 აპრილს, საქართველომ მონაწილეობა მიიღო ლონდონის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე;
- 2014 წლის 8-12 ოქტომბერს, ფრანკფურტში, წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველო წარსდგა ეროვნული სტენდით

2014 წლის განმავლობაში დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატთან მჭიდრო პარტნიორობით განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი - „ქართველი ემიგრანტების როლის გაძლიერება საქართველოში“ (ERGEM). პროექტის განმახორციელებელი საერთაშორისო ორგანიზაციები იყვნენ მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD) და ლტოლვილთა დანიის საბჭო (DRC).

პროექტი მიზნად ისახავდა სამშობლოში მიმდინარე მოვლენებში საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ჩართულობის გაძლიერებას. ERGEM პროექტის ფარგლებში განისაზღვრა სამი ადგილსამყოფელი ქვეყანა: თურქეთი, საბერძნეთი და გერმანია და ჩატარდა კვლევა აღნიშნულ სამ ქვეყანაში მცხოვრები თანამემამულეების საჭიროებისა და ინტერესების დადგენის მიზნით. ERGEM პროექტმა ორგანიზება გაუწია ოთხი საინფორმაციო (საკონსულტაციო) ღონისძიების ჩატარებას საბერძნეთში (2 ღონისძიება), გერმანიასა და თურქეთში. ღონისძიებას ესწრებოდნენ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები და ადგილსამყოფელ ქვეყნებში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები, რომელთაც შესაძლებლობა ჰქონდათ მათთვის საინტერესო ინფორმაცია მიეღოთ სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებისაგან. ინფორმაციის გაზიარების კარგი

შესაძლებლობის გარდა, თითოეული ღონისძიება წარმოადგენდა ერთგვარ კულტურულ შეხვედრას, რომელმაც კიდევ ერთხელ დააკავშირა საზღვარგარეთ მცხოვრები ემიგრანტები სამშობლოსთან.